საზოგადოება ივერიისა

2017 წლის ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს ანგარიში

მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი

ავტორი: ომარ ნაფეტვარიძე

2017 წელს დასრულდა ტაძრის ძირითადი შენობის, წყალკურთხევის პავილიონის, თითქმის ყველა დამხმარე ნაგებობის (რკინაბეტონის გვირაბი, დიდი საყრდენი კედელი, საქვაბე, საზოგადოებრივი საპირფარეშო, ჩილერების მოედანი, ტაძრის გამმიჯნავი დიდი საყრდენი კედელი, გადასასვლელი ხიდით, ტაძრის გარშემოსავლელი საყრდენი კედლის და რკინაბეტონის ფილის დიდი ნაწილი), კარიბჭის სამრეკლოთი და კოლონადის რკინაბეტონის კარკასების მშენებელობა.

მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსი

დეკორატიული ელემენტი

დეკორატიული ელემენტი

მოეწყო კარიბჭის წინ მდებარე გრუნტის გასამაგრებელი რკინაბეტონის მასიური საყრდენი კედელი და შესრულდა გრუნტის მოსწორების სამუშაოები;

დამთავრდა ტაძრის ბაზისის შემოსვა ყაზბეგის დიაბაზის ქვით;

აიგო ტაძრის სარდაფიდან გასასვლელი 40-მეტრიანი რკინაბეტონის გვირაბი და მის გაგრძელებაზე მდებარე რკინაბეტონის საყრდენი კედელი;

აიგო ტაძრის გარშემოსავლელი რკინაბეტონის ფილის მოწყობისათვის საჭირო საყრდენი კედელი;

დამთავრდა ტაძრისა და კარიბჭის სამრეკლოთი სახურავების მოსაწყობი ლითონის მზიდი კონსტრუქციების შედუღებისა და გამაგრების სამუშაოები;

ტაძრის ბარელიეფი

დამონტაჟდა ზარების ჩამოსაკიდი კონსტრუქცია;

აიგო სამრეკლოში ასასვლელი ლითონის მოაჯირიანი კიბე და ტაძრის კანკელის რკინაბეტონის კედელი;

მთლიანად დასრულდა მოქანდაკეების და ქვის მთლელების ბრიგადის მიერ ტაძრის გარე მოპირკეთებისთვის საჭირო ყველა ბარელიეფი;

დამონტაჟდა ტაძარში შესასვლელი ლითონის ხუთი ორფრთიანი კარი; შეძენილ იქნა ტაძრის გადახურვისათვის საჭირო სპილენძის ფურცლები და მოეწყო ტაძრის ფასადის დროებითი განათება.



ღვთისმშობლის ტაძრის ჯვარი

ტაძრის თავზე აღმართულია 5,1 მ, ხოლო კარიბჭის თავზე 2,5 მ სიმაღლის თითბერისგან ჩამოსხმული ჯვარი.

ჩამოსხმულია ასევე წყალკურთხევის პავილიონის გუმბათის თავზე დასადგმელი 0,8 მ სიმაღლის ჯვარიც.

სამრეკლოში დაკიდებულია ასევე თითბერისგან ჩამოსხმული სხვადასხვა ზომის 5 ზარი.

ზარები, ჩამოასხეს მამა-შვილმა ოლეგ და პაატა გელაშვილებმა

2017 წელს შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

მთლიანად დამთავრდა ტაძრის გარე მოპირკეთება ბოლნისის ტუფის ქვით; მოპირკეთებული ზედაპირი დაიფარა წყალგაუმტარი ლაქით, რაც უზრუნველყოფს მის ხანგამძლეობას; შეილესა ინტერიერი გაჯით, ნალესის ქვეშ მოეწყო ელექტრო-გაყვანილობა და შესრულდა შესაბამისი ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; დამზადდა და ჩაისვა ტაძრის 84 სხვადასხვა ზომის მუხის ხის სარკმელი; მოეწყო იატაკქვეშა გათბობის სისტემა და შესრულდა იატაკების მოჭიმვის სამუშაოები.

შიდა სივრცის იატაკქვეშა გათბობის სისტემის მოწყობა

შიდა სივრცე

გუმბათის ფრაგმენტი

საკურთხეველში იტალიური წარმოების კარარას თეთრი მარმარილოთი დაიგო იატაკი (წითელი ჩანართები შესრულებულია სალიეთის მარმარილოთი) და მოეწყო მაღალი დასაჯდომელი. ამავე მარმარილოსგან გაკეთდა და დამონტაჟდა მოჩუქურთმებული დიდი სატრაპეზო მაგიდა და ტაძრის ძრითადი კანკელი. ჩაისვა საკურთხევლის მიმდებარე დროებითი კარი.

საკურთხეველი

კანკელი

2017 წლის ბოლოსთვის მთლიანად დასრულდა ტაძრის სპილენძის სახურავის მოწყობის სამუშაოები. სახურავში მოეწყო გადახურვების თბოიზოლაცია ქვაბამბით. ტაძრის სხვენში ასასვლელად დამონტაჟდა ლითონის ოთხი 12-მეტრიანი კიბე.

სპილენძის სახურავის მოწყობის სამუშაოები

ბიბლიურ თემაზე შესრულებული თითბერის დეკორატიული სხმულებით შეიმოსა ტაძარში შესასვლელი მთავარი კარი.

მთავარი კარი

2017 წელს „საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ შპს “ყაზტრანსგაზ“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით განხორციელდა ტაძრამდე გაზის საქალაქო ქსელის მიყვანის სამუშაოები. მიმდინარეობს მოლაპარაკება კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“- თან ტაძრის ტერიტორიამდე პროექტით გათვალისწინებული წყალსადენისა და საკანალიზაციო საქალაქო ქსელების მოწყობასთან დაკავშირებით.

დეკორატიული ელემენტი -აყვავებული ჯვარი

2017 წელს, სამუშაოთა მოცულობის გაზრდასთან ერთად, მოიმატა მშენებლობასთან დაკავშირებით დასაქმებულადამიანთა რიცხვმა. მათმა რაოდენობამ ყველაზე დატვირთულ პერიოდში 275 გადააჭარბა. აქედან უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე მუშაობდა 120 კაცზე მეტი (მომპირკეთებლები, მებეტონეები, მეარმატურეები, შემდუღებლები, დურგლები, მეთუნუქეები, მლესავები, ელექტრომემონტაჟეები, გათბობა-ვენტილაციის ხელოსნები და სხვა), ბოლნისის კარიერზე და ქვის საამქროში 35 ადამიანი, თითბერის სხმულების ჩამოსხმაში და დამზადებაში მონაწილეობდა 8, ხოლო კანკელისა და სატრაპეზო მაგიდის დამზადებაში 12 ადამიანი, სამშენებლო ტვირთების დაცლა-დატვირთვაზე და ტრანსპორტირებაზე დაკავებული იყო -25, პერიოდულად გამწვანების და მიწის სამუშაოებზე სულ მცირე 7 ადამიანი.

დეკორატიული ელემენტი

სულ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე შემოწირულობამ შეადგინა 2,000,000 ლარი, რაც სრულად იქნა დახარჯული ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებზე.

2017 წელს ასევე დაიწყო ამ პროექტის ახალი ეტაპი, რომელიც ათონის მთაზე ქართველთა მონასტრის - ივერონის ანალოგიით, ითვალისწინებს აქ საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. მოგეხსენებათ, რომ ივერონი იყო არამხოლოდ გამორჩეული სულიერი ცენტრი, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერაც. სწორედ ივერონმა განაპირობა დიდწილად ქართული იდენტობის შენარჩუნება.

ცხადია, რომ 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო ცენტრს ის ფორმები სჭირდება, რომლითაც კომუნიკაცია უფრო ადვილი და გასაგებია თანამედროვე ადამიანისთვის. ამიტომ, ამ ეტაპზე გადაწყდა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ინფრასტრუქტურული ცენტრი იქნება მუზეუმი, რომლის ბაზაზეც მოხდება საგანმანათლებლო საქმიანობა.

ამ მუზეუმში უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით იქნება წარმოდგენილი, მართული და დაცული ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის გარკვეული ნიმუშები. აქ დაცული საექსპოზიციო არტეფაქტების ნაწილი დამატებით საღვთისმსახურო ფუნქციასაც შეიძენს და გახდება ღვთისმშობლის სავანის ნაწილი.

მიმდინარეობს პროექტირება, რომელზეც მუშაობენ საერთაშორისო სამუზეუმო საქმის გამოცდილი უცხოელი და ქართველ არქიტექტორთა ჯგუფი. რამდენადაც ამ მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი აქცენტი გადატანილი იქნება საგანმანათლებლო საქმიანობაზე, საექსპოზიციო დარბაზებთან ერთად აქ განთავსდება აუდიტორიები ლექციებისთვის, იქნება ბავშვთა განათლების სპეციალური ცენტრი, შეხვედრების ადგილი, ბიბლიოთეკა და ა.შ. ამ ცენტრში ადამიანებს შეეძლებათ მოისმინონ ლექციები ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიასა და ისტორიაში, მიიღონ ინფორმაცია და ისაუბრონ ფასეულობების შესახებ. აქ იქნება რელიგიისა და მეცნიერების, რელიგიისა და კულტურის შეხვედრის ადგილი.

2017 წელს „საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ დაფუძნდა ა(ა)იპ „წმინდა გიორგი მთაწმინდელის ინსტიტუტი“. მოგეხსნებათ, რომ ივერონის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელსაც ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები ეწეოდნენ. სწორედ ამ ინსტიტუტის ფუნქცია იქნება ახალგაზრდა, ნიჭიერი მთარგმნელების გამორჩევა და დაფინანსება, ასევე საღვთისმეტყველო, ფილოსოფიისა და ისტორიის სფეროებში განსაკუთრებული თარგმანების დაფინანსება.